№ 170 აგვისტო 12, ოთხშაბათი | 1892 | აგვისტო 12, ოთხშაბათი № 170

**გაზეთი ღირს**

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 | საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | 1877—1892

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა.

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვების სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ო. ტარანოვი.

(10—5)

ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 10 აგვისტოს დილით იყო 5 კაცი და 4 დედაკაცი. ამ დღეს მიიყვანეს სამი ქალი: მარიამ მინასოვისა (4 ნაწ., ბაღის ქუჩა, სახ. ივანოვისა), პელაგია პიჩკოვისა (3 ნაწ., იარმუკის ქუჩა, სახ. წოვიანოვისა) და როზალია როსპიესი (10 ნაწ., ვაგზალს იქიდგან, საკუთ. სახ.). მორჩა 1 კაცი—ნადიროვი. არავინ მომკვდარა. 11 აგვისტოს დილით 4 კაცი იყო და 7 დედაკაცი.

მაჰმადიანთა დროებითს სახოლერო ფარდულში 10 აგვისტოს მიიყვანეს 1 კაცი—კიურსუმ-ბაბალ-ყიზი, 85 წლისა (მე-7 ნაწ.); დილით 11 აგვისტოს ამ ფარდულში 5 კაცი იყო.

ავად გახდა და სახლში სწამლობენ 7 აგვისტოს ქათევან არუთინოვისა (მე-9 ნაწ., კოჩუბეის ქუჩა, სახ. № 11).

კარგად გახდა 9 აგვისტოს მინაი იგანოვი, რომელსაც სახლში სწამლობენ.

ტფილისის მაზრის უფროსის სიტყვით, 10 აგვისტოს სოფ. მალხაზოვკაში კვლავ ავად გახდა 3, გარდ. 3; საგარეჯოში ავად გახდა 3, მორჩა 15, გარდ. 3; დილომში ავად გახდა 1, გარდ. 1; დაგეთ-ხაჩილში ავად გახდა 1; კუმისში ავად გახდა 1; მანგლისს ახლოს ავად გახდა 1, ავჭალაში—1.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება 8 და 9 აგვისტოს: სოფ. არაგვაში მორჩა 8; ხოსპიაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; ხერთვისში ავად გახდა 3; კონდურში ავად გახ. 4, გარდაიცვალა 1; კორხში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2; ვაჩიანში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 1, მორჩა 6; ჩანდურში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1; ბარალეთში გარდაიცვალა 1; ვარევანში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1; ს. ტირკნაში გარდაიცვალა 1. ქალ. ახალქალაქში ავად გახდა 2. სულ ქალაქში ავად არის 3, მაზრაში 55.

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება 8 აგვისტოს: ჯულაანის საზოგადოებაში 7 აგვისტოს გარდაიცვალა 2; ბოდბისხევეელების კალოებზედ გარდაიცვალა 1; ლაგოდეხში გარდაიცვალა 1.

ბორჩალოს მაზრის უფროსი იუწყება 8 აგვისტოს: შულავერში 1-დგან 7 აგვისტომდე ავად გახდა 6, გარდ. 2, დარჩა 4; ახალშენ ეკატერინენფელდში ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 1; 7 აგვისტოს ავად ალარავინ იყო.

გორის მაზრის უფროსი იუწყება 7 აგვისტოს: ქ. გორში კვლავ ავად გახდა 2, გარდ. 4; რუისში ავად გახდა 13, გარდ. 9; სასირეთში გარდ. 4; ბორჯომში ავად გახდა 6, გარდ. 1; ცაგვერში ავად გახდა 10, გარდ. 7; დირბში ავად გახდა 4, გოგეთში—3; ხვედურეთში ავად გახდა 2, გარდ. 1; სანებელში ავად გახდა 1; სამწევრისში ავად გახდა 4, გარდ. 2 და ურბნისში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1.

რკინის გზის ხაშურის სადგურზედ 10 აგვისტოს ავად გახდა და გომის სახოლერო ფარდულში გაჰგზავნეს რკინის მომუშავე მიხეილ მეტევიშვილი.

## ახალი ამბავი

⁂ 11 აგვისტოს მოხდა საგანგებო კრება სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა. კრებამ განიხილა ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის გარდაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თორმეტი ათასი მანეთი იქმნა ამას წინად გადადებული ბანკიდგან ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ტფილისის გუბერნიის სოფლებში. კრებამ თითქმის ერთ-ხმად მოუწონა მოქმედება ზედამხედველ კომიტეტს და გამგეობას ბანკისას. ამასთანავე, რადგანაც კრებამ დაინახა უგანათლებულესის თავად პეტრე ალექსანდრეს ძის გრუზინსკის მოხსენებიდგან, რომ თორმეტი ათასი მანეთი არა კმარა ამ დიდს უბედურებაში ხალხის ჯეროვან საშველად, ამის გამო დაადგინა: კიდევ მიეცეს ბანკიდგან რვა ათას მანათამდე, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, და თუ ესეც არ იყოს სამყოფი, ზედამხედველმა კომიტეტმა და ბანკის მმართველობამ მოკლე ხანში კვლავ დანიშნოს საგანგებო კრება ბანკის წევრთა და სთხოვოს სხვა ფული, რაც-კი ამ საქმეს მოუნდება. დაწვრილებითი ანგარიში შემდეგისთვის იქნება.

⁂ სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლელად კიდევ მივიღეთ ნესტორ რატიანის მიერ შეგროვილი 30 მ. შემომწირველთა სია: გარსევან რატიანმა 3 მ., ნესტორ რატიანმა 2 მ., გიორგი ლაზაროვმა 3 მ., გიორგი ჯუბახძემ 3 მ., დავით ჯუბახძემ 1 მ., გიორგი აბულაძემ 1 მ., გიორგი ტოროშელიძემ 1 მ., პეტრუზ ჰეირანოვმა 2 მ., ვასილ ელიაზაროვმა 1 მ., გულიევმა 1., იაგორ გვალიევმა 1 მ., პავლე მირველოვმა 1 მ., ხოჯაფარეხო მაისურაძემ 1 მ., არტემ კუთლიევმა 1 მ., მიხეილ ყულუჯანოვმა 1 მ., მარტინ გარსოევმა 1 მ., იაგორ ხოჯა-ფარეხოვმა 1 მ., ბეგლარ ქოჩოროვმა 1 მ., იაგორ ძამოევმა 1 მ., მოსე მარტიროზოვმა 1 მ., ერასტი ჰავჰანიძემ 1 მ., იოსებ გველესიანმა 1 მ., ამ ფულისა გვქონდა 510 მან. 35 კაპ., ამითი შესდგა 540 მან. 35 კაპ.

⁂ ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 7 აგვისტოს ბაქოში მორჩა 1, ავად არის 10, სამხედრო სამკურნალოში ავად არის 25; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 87, გარდაიცვალა 59, მორჩა 21, ავად არის 64.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 7 აგვისტოს შურაში ავად გახდა 1, ავად არის 16; მთელს ოლქში ავად გახდა 418, გარდაიცვალა 156 მორჩა 213; მთელს ოლქში ავად არის 1804.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 7 აგვისტოს მთელს გუბერნიაში ავად გახდა 73, მორჩა 23, გარდაიცვალა 46. ავად არის 126.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 7 აგვისტოს ქუთაისში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2, ავად არის 9;

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

ქალაქი და სოფელი.—ხუთის პატარძლის საქმე.—„სენატორები“.

ამას წინად ჩვენა გვქონდა ნათქვამი, რომ ხოლერასთან ბრძოლაში დიდს სამსახურს უწევენ ტფილისელებს გაზეთებიო. ასეც უნდა ყოფილიყო: რაც-კი რამ ღონისძიება მოიძებნება ხოლერის წინააღმდეგ, ვისაც-კი რა იარაღი ეგულება ამ საშინელის სენის დასათრგუნად, ყოველისფერი გამოაცხადეს გაზეთებმა, ასე რომ დამალული თითქმის აღარა გადარჩა-რა. დაუნდობელი მტერია კაცობრიობისა ხოლერა და ვისთვისაც-კი სიცოცხლეს შერჩენია სიტკბოება, ყველა საგონებელში ჩავარდა, ყველამ გამოიფხიზლა და ყველა მოემზადა, რომ მტერს უბრძოლველად არ დაჰნებებოდა. გაზეთებს მიატანეს იმათაც-კი, რომელნიც „ანს“ ვაი-ვაგლახით არჩევენ „ბანისაგან“ და ჩხირები უჭირავთ ხელში, რომ ამოიკითხონ საჭირო რჩევანი. გაზეთების კითხვას ყურს უგდებენ ანბანის უცოდინარნიც, ოღონდ-კი გამოჩნდეს მადლიანი კაცი და ხმამაღლა წაუკითხოს. ბაღებში შეიხედავთ, მუქთა სახაიებს დაათვალიერებთ, მეიდანზედ გახვალთ, ბაზარში ჩაივლით, ყველგან და ყოველთვისა ჰნახავთ ჯგუფ-ჯგუფად მოგროვილს ხალხს, რომელიც გულმოდგინედ ყურს უგდებს გაზეთის წამკითხველს. მიზეზიც ეს არის, რომ ხალხი გაფთხილებულია და ისეთს ღარიბს სახლს ვერ შეხვდებით, რომ პირველ საშველის წამლის შუშა არ დაგახვედრონ. ასეა საქმე დაყენებული ტფილისში, რომელიც ვაჟკაცურად და მედგრად დაჰხვდა ხოლერას წინ და საქებურად გაემკლავა მის ძლიერებას.

გვეგონა, რომ ჩვენი სოფელიც, ქალაქის მიხედვით, ყურს გამოიბერტყდა და შესაფერს სამზადისს შეუდგებოდა, რომ თავი არ წაეხდინა ამ ხოლერიანობაში. მით უმეტეს დარწმუნებულნი ვიყავით ამას, რომ ზაფხულობით საზოგადოდ ბევრი შეძლებული ხალხი მიდის სოფლად და წელს ხომ, ვისაც-კი რაიმე ღონისძიება მოეძებოდა სადმე და ფეხში სიმარდესა ჰგრძნობდა, ყველამ სოფელს დაუკრა თავი, რა-კი ტფილისს ხოლერა ეწვია. გარდა ამ მისულ ხალხისა, თვით სოფელში მოიპოვება ან თავადის ოჯახი, ან აზნაურისა, ან მღვდლისა და ან რომელისამე მწიგნობრისა. თითქმის ყოველს ქართულ სოფელში თითო გაზეთი მაინც მიდის. როგორ წარმოიდგენდა კაცი, რომ ეს ამოდენა მწიგნობარნი, საკუთარის ჯან-მრთელობისთვის მაინც, არ ჩააგონებდნენ უმეცარს ხალხს, რაში უნდა გაფრთხილდეს იგი უმთავრესად, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზარალი ნახოს ამ ჭირიანობას, ნაკლები მსხვერპლი გაატანოს ამ ბიბძურობის ნაყოფს—ხოლერას.

**

იქნება კორესპონდენტებისთვის ნახევრადაც არ დამეჯერებინა ის საშინელი უმწეობა, რომელიც მე საკუთარის თვალითა ვნახე სოფლად ყველგან, რაკი გასცდები ტფილისის ახლო-მახლო სოფლებსა, გარდა თითო-ოროლასი, სადაც მადლიანი ან ქალი გამოჩენილა და ან კაცი, რომელთაც მართლა შესტკივათ მოძმეთათვის გული და ემეტებათ დახმარება გაჭირვებულთათვის. მაგრამ თითო-ოროლა რა ანგარიშშია მოსატანი, სადაც უმეტესობა ყოვლად უპატრონოდ არის დატოვებული და მისი ბედი თუ უბედობა, მისი ჭირი და ლხინი არავის ეკითხება, და ამიტომ ასე თამამად ძლევა-მოსილი გადადის ხოლერა სოფლიდგან სოფლად დ ჩამოდის ქართველის თვალთაგან ზღვის ოდენა ცრემლი!

აგერ კოხტა სოფელი, კოპწიად გაშენებული ფერდობზედ. შორიდგან უყურებ და გგონია—იმაზედ სანატრელი საცხოვრებელი რაღად უნდა კაცსაო. ან-კი რა აკლია? გვერდზედ ჩამოუჩხრიალებს კამკამა ცივი წყარო, რომელიც თითქმის მკვდარსაც-კი გააცოცხლებს. გარს ახვევია ვენახები, ბაღები, ბოსტნები. უშველებელი კაკლისა და მუხის ხეები ამკობენ სურათს. შორი-ახლოს მიიკლაკნება საკმაოდ მოზრდილი ხევი. ორ ვერსზედ მოშორებით პატარა ტყეა, რომელიც თანდათან, მთებისკენ, დიდ ტყედ გადადის და თავის ხასხასა სიმწვანით ახარებს თვალსა. სწორედ სამოთხეაო, ჰფიქრობ გულში და მიეჩქარები სოფლისკენ. მერე განა ბევრს სოფელს დაასახელებთ ჩვენს ბუნებით ბედნიერს ქვეყანაში, რომ ამაზედ ნაკლებად იყოს შემკული! მაგრამ გირჩევთ, ამ ხოლერობის დროს მაინც შეიკავეთ თავი და ნუ შეხვალთ თვით სოფელში. დეე, ისევ შორიდგან დატკბით და ნუ მოიშხამავთ გუნებას, იმიტომ-რომ მაგ კოხტა სოფლის შინაგანი მდგომარეობა სრულებით არ შეეფერება წარმტაცს გარეგან მშვენიერებას. არა, ეს კიდევ ცოტად არის ნათქვამი. არა თუ არ შეეფერება, ეს სოფელი არცხვენს ბუნების სიტურფეს და თავზედ ლაფს ასხამს იმ ქვეყანას, რომელიც თვით ღმერთმა სამწყსოდ მისცა ღვთის-მშობელს! მაშინ-როდესაც მდებიარება ასე უხვად ხელს უწყობს, რომ ეს კოპწია სოფელი შეადგენდეს ერთს უკეთეს კუნჭულს სამოთხისას და იყოს მისი ნატვრის თვალი ყველაფრით, და

მთელს გუბერნიაში ავად გახდა 9, მორჩა 4, ავად არის 24.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 6 აგვისტოს ერევანში ავად გახდა 57, გარდაიცვალა 46, მორჩა 14, ავად არის 184; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 161, გარდაიცვალა 78, მორჩა 9, ავად არის 878.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: 7 აგვისტოს ყარსში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2, ავად არის 6; შურაგელის მაზრაში ავად გახდა 6—7 აგვისტოს 86, მორჩა 38, გარდაიცვალა 36, ავად არის 68.

*** გორის მაზრაში ამ ჟამად ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად არიან: მაზრის უფროსი, სოფლის მკურნალი, თავად-აზნაურობის მიერ გაგზავნილი მკურნალი, ერთი სტუდენტი-მკურნალი და 8 ფერშალი, სათავად-აზნაურო ბანკის მიერ გაგზავნილი და 5 ფერშალი, ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი. ამას გარდა, ამ დღეებში გაიგზავნება გორის მაზრაშივე ორი მომვლელი ქალი.

*** თავმჯდომარემ მეშვიდე სასანიტარო დასისამ წარუდგინა ქალაქის გამგეობას ოქმი, რომლიდგანაცა სჩანს, რომ სასანიტარო კომისიამ, დაათვალიერა პოკროვის ყაზარმები, რომლებშიაც მე-16 საგრენადერო პოლკი იმყოფება, და დაადგინა: 1) გამართულ იქმნას არხები წვიმის წყლისათვის და 2) რადგანაც ყაზარმაში ფეხის-ადგილები და ჯირგინები ისე უსუფთაო, რომ იმათი დაწმენდა შეუძლებელია, ამიტომ ეხლავე გაიმართოს ახალი მილები უსუფთაობისათვისაო.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონოზონი ფილარეტი დანიშნულ იქმნა ყაზანის სასულიერო აკადემიის რექტორად, ხოლო ტფილისის სემინარიის ინსპექტორად დანიშნულ იქმნა სემინარიისავე მასწავლებელი, მღვდელ-მონაზონი ისიდორე.

*** ტფილისის სარკინის-გზო სატეხნიკო სასწავლებელში სწავლა 20 ენკენისთვეს დაიწყება.

*** ჩვენს გაზეთში ამას წინად გვქონდა მოხსენებული, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამკურნალოს ექიმი ბ-ნი უსპენსკი ბროუნ-სეკარის ელექსირითა სწამლობს ხოლერიან ავადმყოფებსაო. ეხლა აღმოჩნდა, რომ ბროუნ-სეკარის ელექსირი ხოლერიან ავადმყოფებსა რგებია. სამკურნალოში 17 ხოლერიანი ავადმყოფი მიუყვანიათ და ამათში ბროუნ-სეკარის წამლით 15 სრულიად მორჩენილა, ერთიც უკვე რჩება და მხოლოდ ერთი ავადმყოფი გარდაცვლილა, რომელიც ძლიერ გვიან მიუყვანიათ სამკურნალოში.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას ბევრი ხალხი მიაწყდა შემწეობის სათხოვნელად იმ ფულიდგან, რომელიც შემოწირულებისაგან შეგროვდა. გამგეობა მხოლოდ იმათ აძლევს შემწეობას, ვინც ხოლერისაგან დაზარალებულია.

*** ორშაბათს, 10 აგვისტოს, რკინის გზის ტფილისის სადგურის სატელეგრაფო განყოფილებაში, ღამის ასე 11 საათზედ, ვიღამაც მოიპარა ტელეგრაფის ერთის მოხელე-ქალის კაბა და 15 მან. ფული. ქურდი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით მაზრის უფროსებს დაეგზავნათ თითოს 300 მან. ფული სოფლებისთვის სადეზინფექციო წამლების სასყიდლად. ამას გარდა, გაგზავნილ იქმნა ხოლერიან ავადმყოფთათვის ფარდულები ბორჩალოსა, გორისა, ტფილისისა და დუშეთის მაზრებში. ამ მაზრების უფროსებს გაეგზავნათ კიდევ ას-ასი მანათი ამ ფარდულების ხარჯისათვის. ფასანაურის სახოლერო სამკურნალოსაც 100 მანათი მიეცა.

*** სოფ. შილდა: ეს ერთი თთვე იქმნება, რაც ზოგიერთმა ვაჟ-ბატონებმა აქაც იჩინეს თავი და თავისუფლად ნავარდობენ კალოებზედ. ივლისის შუა რიცხვებში ეს ვაჟბატონები დაეცნენ ერთს კალოს, სადაც მხოლოდ ქალები იყვნენ. ქალების წივილ-კივილზედ ხალხი მიეშველა, ნახეს, რომ საქმე ცუდად იყო, დაიტაცეს იმათი კაბები და სადღაც მიიმალნენ. ეხლა აცვიათ ეს მოტაცებული კაბები, წვერ-ულვაში ცხვირსახოცით ახვეული აქვთ, ასე რომ მარტო ცხვირი და თვალები უჩანთ, და თავისუფლად დაბძანდებიან ვენახებში. არა ერთხელა და ორჯელ უტაცნიათ ხელი მაყვალზედა და ვენახებში მოსიარულე ქალებისათვის ამ თავზედ ხელ-აღებულ ქალურად ჩაცმულ ვაჟბატონებს, მაგრამ აქაური მამასახლისი ყურადღებას არ აქცევს. აი კიდევ ერთი შემთხვევა: ამ 5—6 დღის წინად ერთის გლეხის ქალი იყო ვენახში. ამ კაბიანებმა დაინახეს თუ არა ქალი, საწყალს მისცვივდნენ, სტაცეს ხელი და იქვე ახლოს ხევში მიჰყავდათ. ქალის წივილ-კივილზედ მახლობლად კალოზედ მყოფი ხალხი მიეშველა და გადაარჩინეს საბრალო ქალი.

*** ბათუმი: აქაურ ქართველ მაჰმადიანთა ერთს ხოჯას, გვარად ბერიძეს, 50 ყმაწვილი ჰყავს მოწაფედ. ხოჯამ ქართული კითხვა არ იცის. აქაურ მაჰმადიან ქართველების მეორე მუფთი ქართველი კაცია, ქართული წერა-კითხვის მცოდნე. ამას აკისრებინეს ქართველ მაჰმადიანებმა თავიანთის ლოცვების გადათვალიერება და გასწორება, თუ სადმე რამე შეცდომებია ასოებში. რაღა ფიქრი უნდა, რომ ეს პატივცემული მუფთი ამ საქმეს არ იუარებს და ოსმალეთიდგან მოსულ მუფთ-ხოჯა-მოლებივით არ მოიქცევა, რომელთაც ქართველ მაჰმადიანებისთვის ყოველთვის მომართული აქვთ თავისი ბასრი კბილები.

*** გაზეთი „Нов. Обоз.“ სწერს: სომხთა დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის მიერ სტამბოლიდგან მოწვეულ არტისტებს ხოლერის გამო ტფილისში წამოსვლა ეშინიანთ და ამიტომ ჯერ-ჯერობით არ იციან, როდის დაიწყება ტფილისში სომხური წარმოდგენები.

*** იმავე გაზეთს სწერენ შემახიიდგან: შემახიაში ხოლერა განელდა. ხოლერამ უმეტესს ნაწილად თათრები იმსხვერპლა, სომეხი-კი სულ 70 კაცი გარდაიცვალა. გარდაცვლილნი თითქმის სულ ბაქოდგან გამოქცეულნი არიან.

# გაკვრით

იცით, რომელია ამ გაჭირვებულ დროს ბედნიერი სოფელი? რასაკვირველია, არ გეცოდინებათ. მაშ გასწავლით. ეს სოფელი გახლავთ წავკისი. შეიძლება ბევრს არც-კი გაუგონია წავკისის სახელი და, სწორედ მოგახსენოთ, არც ღირსი იყო ამისი. წავკისი ტფილისს აკრავს, მდებარეობს ტფილისსა და კოჯორს შუა, ადგილი მწირია, სოფელი უნაყოფო, სახედარი ბევრი. ამ სახედრებით წავკისელები ტფილისში ჰზიდავენ რძეს, მაწონს, ცოცხს, ბუმბულს, სატაცურს, ღაზლის წინდებს და სხვა ამ გვარ წავკისის ხელოვნების ნაწარმოებს. წავკისში სულ ორმოც-დაათი კომლია და ამ იწაბაწაებით ირჩენს თავს. წავკისის მებატონენი დროს ტფილისში ატარებენ, ზაფხულობით-კი წავკისს ადიან გასაგრილებლად კოჯრის ნიავით. მებატონეებთან ერთად წავკისს სააგარაკოდ ეწვევა ხოლმე მრავ ლი ტფილელი შეძლებული კაცი და მოხელე. განსაკუთრებით წელს გაბედნიერდა წავკისი, გაივსო თურმე „დაჩნიკებით“. სახლები რომ არ ეყოთ, გლეხების ქოხმახებში დაბინავდნენ.

აი სწორედ ამ ბედნიერ წავკისს ეწვია ჩვენი ძვირფასი სტუმარი (სტუმარი რაც უფრო მაღალ ხარისხოვანია და ძვირფასი, მით უფრო დიდი დახვედრა უნდა, ამისათვისაც ქართლი, განთქმული გულ-უხვობით, ასე ხელ-გაშლით მიეგება ამ სტუმარს). იბძანდა თუ არა ხოლერა წავკისს, იმ წამსვე შეიქმნა ზარის რეკა, ტელეგრაფმა და ტელეფონმა გაცხარებული მუშაობა იწყო, კოჯრიდგან აფრინეს ექიმი ორის ფერშლით და წამლებითურთ ხოლერის დასახვედრად, ტფილისიდგან ექიმი სუხანოვი გაისტუმრეს. რომ არა სწყენოდა ხოლერას ასე მცირედი მიგებება, ორს ექიმს მესამეც ზედ მიაყოლეს. არც ეს იკმარეს, მხნე და დაულალავმა მეთერთმეტე სასანიტარო დასმა თავისი ექიმი და ბოქაული ტერგრიქუროვი ფიცხლავ აფრინა წავკისს. ექიმბაშნი ბოქაულითურთ ხოლერას შიგ სოფლის საზღვრებზედ დახვდნენ, ძვირფასს სტუმარს ერთი სადილი-კი მიართვეს (წავკისში სულ 3—4 ადამიანი გარდაიცვალა) და სთხოვეს „დელიკატნურად“, ახლა სხვაგან მიბძანდიო. ხოლერაც წავიდა, მეტი რა ჩარა იყო. ეგ იყო და ეგ, ხოლერის ხსენება წავკისში აღარ არის. ნასუფრალი წავკისში ექიმებმა დასწვეს და ფერფლი ქარს მისცეს.

ახლა არ იტყვით, ბატონებო, რომ წავკისი ბედნიერია? დიახაც, რომ ბედნიერია. გორის მაზრიდგან, ანუ ქართლიდგან-კი წერილი მოგვდის, დღეში ამა-და-ამ სოფელში ოცი, ორმოცი სული გარდაიცვალაო, ფერშალს და ექიმს ვინ გვაღირსებს, ნეტა ის წყეული ჩაფრები, რომლებიც „ფოსტის“ ფულის მოკრეფის დროს ბუზებივით ირევიან ხოლმეო, დაგვენახვნენ.

მართლაც, რა წესი და რიგია, გეთაყვათ, წრიაკ, ხრიოკ წავკისში ოთხის ექიმით, ფერშლებით და ბოქაულით დაუხვდნენ ხოლერას და იმისთანა დიდს და მშვენიერს სოფლებში, როგორებიც არის რუისი და ურბნისი, სადაც მიტროპოლიტებიცკი ისხდნენ თავის დროზედ, ხოლერას ერთი კანკურა ჩაფარი დაჟანგებულის ხმლითაც არ დაახვედრეს. ალბად ხოლერა გაჯავრდა, იწყინა, თუ გუდამშიერა წავკისი ასე მეფურად დამიხვდა, ამ უშველებელს სოფლებს რაღა ემართებათო, და გმირულად მოუსვა ცელი რუისელებსა და ურბნისელებს.

ახიცაა მაგათზედ, განა არ იციან, რომ სტუმარს დახვედრა უნდა!

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**სოფ. ქვემო-მაჩხაანი** (სიღნაღის მაზრა). ივლისის 18-დგან დ. ნა—ძეს წინადადებით შესდგა ხოლერის წინააღმდეგი რაზმი, რომლის სამოქმედო პროგრამა შემდეგია: 1) წეს-რიგიან მოქმედებისათვის რაზმს ეყოლება გამგეობა ამორჩეულის რაზმის წევრებიდგან რაზმისაგანვე; 2) თითოეულმა წევრმა, ქალმა და კაცმა, რაზმისამ უნდა გამოიღოს სამოქმედო თანხის შესადგენად თითო მანათი; 3) თანხის ფულით უნდა იყიდოს გამგეობამ წამლები ხოლერის წინააღმდეგ;

მეტადრე ჰაერის სურნელებით, თქვენ იქ შეგაღონებთ მყრალი სუნი ბინძურობისა და უსუფთაობისა. მოღობილ ეზოებში დაგხვდებათ მთელი ზვინები ფეინისა, მოგროვილი რამდენისამე წლის განმავლობაში. აქვე ცხვირ წინა ჰყრია ნაგავი და ყოველ გვარი უსუფთაობა, ბინძურობა, რომელიც ცხარე თვალ მზის ქვეშ იხრწნება და ჰშხამავს მიდამოს. არა, ნუ შეხვალთ მაგ სოფელში, ენდეთ ჩემს მწარე გამოცდილებას. იქ გახლდით და ვიცი, რა შვილიც არის. ისევ შორიდგან მოატყუეთ თვალი, ოცნება მაინც კარგი გაგყვებათ. მერე რა, სულ ოც-და-ათი-ორმოცი კომლი ხალხი ცხოვრობს შიგა. მათში ხუთი კომლი თავადია და დანარჩენი გლეხობა. ნეტა როგორ მოახერხეს, რომ ამ ერთი მუჭა ხალხმა ასე წაბილწა ეს მშვენიერი ქნარი ბუნებისა! სადა ჰქონდათ იმოდენა მხნეობა! ნეტა საკეთილო საქმეშიაც იცოდეს ქართველმა კაცმა ისეთის მხნეობის გამოჩენა, როგორიც გამოუჩენია თავის საკუთარის სადგურის გაბინძურებაში! მერე ის არის გასაკვირველი, რომ საკმარისია ხუთმა პატარძალმა პირი შეჰკრას, ღ საუზმემდე მთელს სოფელს თავიდგან ბოლომდე სარკესავით გადაკრიალებულს გაჰხდიან, თუ-კი მისხლის ოდნავ მაინც ექმნებოდა ქართველს კაცს სისუფთავის ყადრი და პატივი.

**

იქნება გეგონოთ, რომ ამ სოფლის ხალხი ნამეტან სიღარიბეში იყოს, წერა-კითხვის მცოდნე არავინა ჰყავდეთ თვით თავადებშიაც-კი და უმეცრებისა გამო არ გაეგებოდეთ ძალა უსუფთაობისა. შემცდარი ბრძანდებით. მართალია, უსუფთაობის ძალა და მნიშვნელობა-კი არ გაეგებათ, მაგრამ ეგ არც სიღარიბის ბრალია და არც უმეცრებისა. წერა-კითხვა ბევრმა იცის, თავადიშვილებმა ხომ რუსულიცა და ქართულიც იციან ყველამ. მათში ერთს უმაღლესი განათლებაც დაუმთავრებია, შეძლებაც თვალსაჩინო აქვს. ორს საშუალო სასწავლებლისთვის უჯობნია, ხუთი ვაჟი გიმნაზიის მეოთხე კლასიდგან გადასულა იმ კლასში, სადაც ასე მარჯვედ ასწავლიან სოფლიდგან ხეტიალს ქალაქისაკენ და ქალაქიდგან სოფლისაკენ ისე, უაზროდ, უსაგნოდ, თორმეტს ქალს მიუხწევია მესამე კლასამდის და იქ უცებ ისე აუტანია ისინი გათხოვების სურვილსა, რომ არითმეტიკის ციფირებიც-კი თურმე დამშვიდულ სასიძოებად ეჩვენებოდათ, და ამ პატივსადებ მიზეზისა გამო მიუმართავთ სოფლისათვის, სადაც ერთმანეთსა ჰჭორავენ, ჰკილავენ, ჰწეწავენ და ჰგლეჯავენ. ერთის სიტყვით, ამ სოფლის თავადიშვილები, როგორც თითქმის ყველა სხვა სოფლისანი ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში, სულ განათლებულები არიან, ასე რომ ერთმანეთში ქართულს აღარც-კი ლაპარაკობენ. კნიაზს დურმიშხანს გაზეთებიც-კი მოსდის, გამოუწერია სახელისთვის და ამიტომ კვირით-კვირობამდე გაუხსნელი უყრია სტოლზედ. არც თითონა აქვს წყურვილი კითხვისა, არც მთელ იმოდენა მწიგნობარ გვარეულობას. იტყვით, ალბად იმიტომ არა კითხულობენ გაზეთებს, რომ შიგ არა ჰყრია-რაო, მე მგონია, რომ სცდებით. ეს ხოლერის ამბები ხომა ჰყრია გაზეთებში, სხვა რომ არა იყოს-რა, რატომ ამას მაინც არა კითხულობენ, რომ გონივრულად უშველონ თავსაცა და ხალხსაც?—არა კითხულობენ იმიტომ, რომ მეტის უფიქრელის ცხოვრებისაგან მოსდუნებიათ გონების ხალისი, დახშულა ცნობის-მოყვარეობა, და იმათ გინდა თვით რუსთაველის ენით აუბულბულოთ, მაინც ზედ არ დაჰხედავენ გაზეთს. თუ ხოლერა გაჩნდა-და, სულ ტყეებისაკენ მოჰკურცხლავენ, თითქო მაგისთანა ჰკვიანური და უებარი წამალი სხვა არა მოეძებნება-რა ადამიანს ხოლერობაშიო.

აბა ამისთანა დაწინაურებულმა საზოგადოებამ ან თავის თავს როგორ უნდა უშველოს, ან სოფელს! ერთხელ როდისღაც ჩამოეარნა ბოქაულს, დაენიშნა „სენატორები“ (სანიტარები), ეთქვა, გასუფთავდითო, და წასულიყო სახლში. „სენატორები“ ძლიერ კმაყოფილნი არიან, რომ ბოქაულმა ასე პატივი სცა, კაცად მიიჩნია და ამ სიმაღლე ღირსებამდე ასწია ისინი. რაიცა შეეხება სისუფთავეს, ან სადეზინფექციო წამლებს, ამაზედ არც ერთი „სენატორი“ არა ნაღვლობს, რადგან ტყე ახლო ეგულება და სრული იმედიცა აქვს, რომ ხოლერას იქ დაემალება. „შენც არ მომიკვდე, მეც არ მოგიკვდე, შენ ტყუილად არ დაგიფიცავ, ის სიყმის შვილი ალექსი არ მომიკვდეს, არც ეს კოჟანდარი ელენე მომიკვდეს და ჩვენ ყველანი არ ამოვწყდეთ, რომ მურია მეძებარმა გაასწრო სირბილში ბიძაჩემის ფეხ-ვარდა მწევარსაო“—იჭაჭება ფიცით სოფლის ერთი „განათლებული“ წინაშე სხვა „განათლებულთა“. ამისთანავე ფერადად აჭრელებულის სიტყვებით გეფიცებათ მეორე „განათლებული“, რომ მისი თოფი ერთ გასროლაზედ შვიდს კურდღელს მაინც გაიტანს. საუბედუროდ, ეს არის ჭკუის მასალა და გონების ალებ-მიცემობის თავი და ბოლო „განათლებულთა“ უმეტესობისა ამ ხოლერობის დროსაც-კი და წარმოიდგინეთ, რა დღეში უნდა იყოს ჩვენი სოფელი...

სანო

4) თუ რომელიმე წევრი ავად გახდა ხოლერით, მოვალეა რაზმი უწამლოს ავადმყოფს საშველის წამლებით და უწყებულის საშუალებით; 5) მოვალეა აგრეთვე მთელი რაზმი დაეხმაროს თავისისავე წამლებით და გაამხნევოს დარიგება-ნუგეშით, ვინც-კი ქვემო-მაჩხაანში ავად გახდება ხოლერით; 6) თუ საჭიროება მოითხოვს, ხსენებულ რაზმის გამგეობა დაუყოვნებლივ მოიწვევს ექიმს რაზმის წევრთათვის და არა წევრთათვის; 7) ყოველმა წევრმა რაზმისამ თვალ-ყური უნდა ადევნოს სოფლის უბნებსა და სანიტარებს, რომ ან ეზო-ყურე არ შეინახონ უსუფთაოდ და ან ხოლერით ავადმყოფი არ დაჰფარონ; 8) გამგეობა მოვალეა ჩააგონოს სოფლის ხალხს, თუ როგორ მოიქცნენ წინა დღითვე, რომ სასტიკი ჭირი თავიდგან აიცილონ; 9) გამგეობავე ეცდება რომელისამე ღონისძიებით შეჰკრიბოს ფული ხოლერით დაზარალებულ ღატაკებისათვის; 10) გამგეობამ დაწვრილებით უნდა აუწყოს რაზმს, თუ რა და რაში დახარჯა თანხის ფული; 11) რაზმი ყოველ-დილა-საღამოს თავს მოიყრის დანიშნულს ადგილს სათათბიროდ და ეცდება იმასაც, თავისი მსგავსი რაზმები გარემო სოფლებშიაც დაჰბადოს და 12) რაზმს ეყოლება უბან-უბან მოსიარულე შიკრიკი ამბის მისატან-მოსატანად. ხსენებულს რაზმში ჯერ-ჯერობით მიიღეს მონაწილეობა და გამოიღეს თითო მანათიც: ეკ. ჯამასპიშვილისამ, ა. ჯავაშვილისამ, ო. პოპიაშვილმა-მენთეშაშვილისამ, ლ. ზარაფიშვილისამ, თ. მენთეშაშვილისამ, მ. ნადირაძისამ, ბოქაულმა გ. პაიჭაძემ, მღ. ვ. მენთეშაშვილმა, ხ. მენთეშაშვილმა, დ. ჯავაშვილმა, ი. მენთეშაშვილმა, ე. მენთეშაშვილმა, ვ. ნადირაძემ, ტ. ჯამასპიშვილმა, ი. ზარაფიშვილმა, გ. ჯამასპიშვილმა, თ. ბერძენიშვილმა, ა. ნადირაძემ, მალხაზ მენთეშაშვილმა და დ. ნ., სულ 20 მ. გამგეობამ საჭირო წამლები და სასხურებელი მანქანა უკვე იყიდა და პარაკლისიც გარდაახდევინა მღვდლებს ი. და ყ. მენთეშაშვილებს ხალხის თანადასწრებით.

ხსენებულის რაზმის შედგენა გამოიწვია შემდეგმა სამწუხარო ამბავმა: 15 ივლისს გულხეთქებით მოვარდა ჩვენის სოფლის ერთი ღატაკი დედაკაცი და ტირილით შემოიძახა: „მიშველე, შვილო, შენი ჭირიმე, ჩემი შემნახავი და დამმარხავი ზაქარო მიკვდება, კაციც (ქმარი) შინ არა მყავ და ახლოც არავინ მიდგება: ხოლერააო“. მაშინვე გავეშურე იმის პაწაწინა მიწაში ჩაჭუნტებულ ქოხისაკენ რაიმე საშუალების აღმოსაჩენად, მაგრამ გვიან-ღა იყო: ზაქაროს, სანთელივით ჩამომდნარს მეტის ჯაფა-ვაი-ვაგლახისაგან, მთავარი სული უკვე დაელია ნაბდის ძველებზედ ძაღლ-უმადლოდ მწოლიარეს. მომაკვდავ ზაქაროს გულ-საკლავად დასძახოდა დედა და იმისი შიშველ-ტიტველა გოგო-ბიჭების ჟრიამულიანი ღრიალი მთელს უბნის ხეობას ახმაურებდა. მობრძანდნენ როგორც იყო თითო-ოროლა მეზობლები და შორი-ახლოდგან დაუწყეს ნუგეშის ცემა ცოცხალ-მკვდარს დედას. ახლო არავინ მიეკარა მიცვალებულს, ვიდრე მე არ მიველ და სწორება არ დავუწყე. გაამგზავრეს თუ არა საფლავისკენ ზაქარო, იმ დღიდგანვე დაეცა უგონოდ შავის ღრისაგან დამწვარ-დადაგული მისი დედა და მეხუთე დღეს ისიც მიწას მიაბარეს. გაიარა ერთმა კვირამ და უძუძობისაგან თან გაჰყვა თავის ძმასა და დედას ძუძუთა ბალღიც, რომელსაც ახლო არავინ იკარებდა თურმე ძუძუს მოსაწოვებლად: ხოლერას გადაგვადებსო. დარჩა საცოდავად თავის შიშველ-ტიტველა გოგო-ბიჭებით ზაქაროს მამა, კაცი ხანში შესული, სიღატაკისაგან ჯანგატეხილი, ცალის თვალით უსინათლო და ვალ-ვახჩით სავსე. ვიდრე ამ კაცს ცოცხალი ჰყავდა გამრჯელი ცოლი და მოსწრებული შვილი, მაშინაც-კი რის ვაი-ვაგლახით აცხოვრებდა გოგო-ბიჭებს და ეხლა მთლად დაილუპა უნუგეშოდ. უთქმელადაც იგრძნობს ადამიანი, თუ რა საბრალოა სიღატაკისაგან ჯანგატეხილი წვრილ-შვილი, რომელსაც დაქცეულ ოჯახის საყენებიც წაექცევა, ცეცხლიც ჩაუქრება, კარებიც დაეგულება და იმისათვის ბედნიერი დღე აღარ გათენდება აღარც ერთხელ... დიაღ, ყველა მიხვდება იმ ადამიანის უსაზღვრო ტანჯვა-მწუხარებას და ამისათვის ვსთხოვთ ყველას, ვისაც-კი გული შესტკივა მრავალ-ტანჯულის ადამიანისათვის და შეუძლიან დახმარების აღმოჩენა, ნუ დაიშურებს შემწეობას. შემწეობა შეიძლება გაიგზავნოს სიღნაღის მაზრის ს. ქვემო-მაჩხაანში დ. ნ—ძეს სახელობაზედ ქვემო-მაჩხაანელ სოსია წიკლაშვილის გარდასაცემად. ყველა შემწეს გვარი და სახელი გამოცხადებული იქნება გაზ. „ივერიაში“.

ქვემო-მაჩხაანში ორი წყაროა და წყლის უქონლობის გამო ზემო-მაჩხაანიც ამ წყაროებით სარგებლობს. რადგანაც ზემო-მაჩხაანში ხოლერა მძვინვარებს და ქვემო-მაჩხაანში-კი მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო ხოლერით ავადმყოფობისა, ამისათვის კარგს იზამდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომ ზემო-მაჩხანელებს ერთ-ერთი წყარო მიაკუთვნოს და ამ გვარად ნუღა დაერევიან ერთმანეთში ორის სოფლის ხალხი, ვიდრე სატკივარი გადივლის. ქვემო-მაჩხაანის სანიტარები ჯერ-ჯერობით სანაქებოდ ჰმოქმედობენ. მხოლოდ ექიმებია მთელის ქიყიზისათვის დიდად საჭირო: მთელ სიღნაღის მაზრაში 83,000 სული მცხოვრებია და ექიმი-კი სულ 3—4, ე. ი. ოცი ათასს სულზედ ერთი ექიმიც არ მოდის!.. ველით და ველით ბანკისაგან დანიშნულს ექიმებს. საუბედუროდ, ხოლერას ავაზაკობაც უკან მოჰყვა: მირზაანში გატეხეს ცხრა სახლი, ქვემო-მაჩხაანში—ორი, ოზაანში—ერთი და ზემო-მაჩხაანშიაც ერთი, სადაც მოჰკლეს ავაზაკებმა სახლის პატრონი დედაბერი.

## რუსეთი

პეტერბურგში 3—4 აგვისტოს ავად გახდა 70, მორჩა 5, გარდ. 5.

მოსკოვში 2 აგვისტოს ავად გახდა 15, გარდ. 6, მორჩა 5; გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ. 2.

ასტრახანში 2 აგვისტოს ავად გახდა 2, მორჩა 5; გუბერნიაში ავად გახდა 209, გარდ. 137, მორჩა 136.

ვლადიმერის გუბერნიაში 2 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდ. 5.

ვორონეჟში 2 აგვისტოს ავად გახდა 41, გარდ. 16; გუბერნიაში ავად გახდა 273, გარდ. 199.

ვიატკაში 2 აგვისტოს გარდ. 3, მორჩა 2; გუბერნიაში 1 აგვისტოს ავად გახდა 138, გარდ. 75, მორჩა 40.

ეკატერინოსლავსკის გუბერნიაში 1 აგვისტოს ავად გახდა 38, გარდ. 11; 3 აგვისტოს ავად გახდა 67, გარდ. 16, მორჩა 35.

ყაზანში 2 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდაიცვალა 3, მორჩა 13; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 142, გარდაიცვალა 38.

კოსტრომაში 1 აგვისტოს ავად გახდა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ. 6, მორჩა 6.

კურსკში 2 აგვისტოს ავად გახდა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 66, გარდ. 28.

ნიჟნი-ნოვგოროდში 3 აგვისტოს ავად გახდა 28, გარდაიცვალა 12, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 74, გარდაიცვალა 23, მორჩა 66.

ორენბურგში 2 აგვისტოს ავად გახდა 131, გარდ. 76; მთელს გუბერნიაში 1 აგვისტოს ავად გახდა 33, გარდაიცვალა 21.

ორლოვის გუბერნიაში 31 ივლისს ავად გახდა 11, გარდაიცვალა 10.

პენზაში 2 აგვისტოს ავად გახდა 57, გარდ. 27; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 42, გარდაიც. 15, მორჩა 18.

პერმში 2 აგვისტოს ავად გახდა 9, გარდაიცვალა 1, მორჩა 2; გუბერნიაში ავად გახდა 3, გარდ. 25.

რიაზანში 2 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 6.

სამარაში 2 აგვისტოს ავად გახდა 21, გარდაიცვალა 18, მორჩა 33; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 412, გარდაიცვალა 164, მორჩა 172.

სარატოვში 2 აგვისტოს ავად გახდა 40, გარდ. 16, მორჩა 14; ცარიცინში 1 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 3, მორჩა 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 581, გარდ. 294.

სიმბირსკში 2 აგვისტოს ავად გახდა 12, გარდ. 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 241, გარდ. 131.

ტამბოვის გუბერნიაში 3 აგვისტოს ავად გახდა 96, გარდ. 33, მორჩა 50.

უფაში 1 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდაიც. 1; მთელს გუბერნიაში 31 ივლისს ავად გახდა 27, გარდაიცვალა 16.

ხარკოვში 2 აგვისტოს მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 139, გარდაიცვალა 58.

იაროსლავში 2 აგვისტოს ავად გახდა 13, გარდ. 7, მორჩა 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 3.

ნოვოჩერკასკში 2 აგვისტოს ავად გახდა 16, გარდაიცვალა 10, მორჩა 6; ქ. როსტოვ-ნახიჩევანში (დონისა) ავად გახდა 72, გარდაიცვალა 21, მორჩა 55; ქ. ჰეგარანში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 12; მთელს ოლქში ავად გახდა 862, გარდ. 331, მორჩა 338.

ყუბანის ოლქში 2 აგვისტოს ავად გახდა 762, გარდ. 448.

თერგის ოლქში 2 აგვისტოს ავად გახდა 672, გარდაიცვალა 293.

ომსკში 2 აგვისტოს ავად გახდა 31, გარდაიცვალა 14.

ტომსკში 1—3 აგვისტ. ავად გახდა 109, გარდაიცვ. 56; გუბერნიაში ავად გახდა 55.

## უცხოეთი

**ინგლისი.** 1885 წელს დეკემბერში გარდაიცვალა დავით ლუისი, რომელმაც მანჩესტერსა და ლივერპულში ვაჭრობით დიდი შეძლება შეიძინა. დავით ლუისმა მთელი თავისი ქონება, ცოტაოდენის მეტი, დაუტოვა თავისს ცოლსა და ნათესავებს, რომელნიც ავსტრალიაში სცხოვრობდნენ და იქ დიდს სავაჭრო საქმეებში იყვნენ ჩამდგარნი. ანდერძად დასტოვა მხოლოდ ერთი წერილი თავის მემკვიდრეების სახელობაზედ. იქ იყო ნათქვამი, რომ მე მსურს მთელი ჩემი ქონება მუშა ხალხს მოხმარდეს მანჩესტერსა და ლივერპულშიო. არც ნოტარიუსი, არც ერთი, არც მეორე, ისე რომ ამ წერილს, კანონით არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და არც სავალდებულო იყო მემკვიდრეთათვის, მაგრამ მემკვიდრეებმა მაინც შეასრულეს სურვილი განსვენებულისა, ხოლო, რაკი თითონ არ იცოდნენ გარემოება ლივერპულისა და მანჩესტერის მუშახალხისა, მთელი მისი ქონება 350,000 გირვანქა სტერლინგი (თითქმის სამ ნახევარი მილიონი მანათი) გაუგზავნეს იქაურს ადმინისტრაციას. თან ესეც დაავალეს, ამ ფულით ისეთი რამ სასარგებლო დაწესებულება დაარსეთ, რომელმაც არ გაარჩიოს ისინი, ვისაც შემწეობა ეჭირვება, და ყველა შეუძლებელს თანაბრად გაუწოდოს ხელი საშველადაო. თან მაგ დაწესებულებას იმდენი ღონისძიებაც უნდა, რომ კერძო ქველ-მოქმედების ღონისძიებას გადააჭარბოს თავის უნარითა და მადლიანობის თესვითაო. ინგლისის პარლამენტის ორმა დეპუტატმა იტვირთა გამგეობა ამ ფულის საქმისა და აღსრულება იმათის სურვილისა, ვინც ძირს არ დაუშვა ნება განსვენებულისა, თუმცა კანონით შეეძლოთ გროშიც არ მოეხმარებინათ საზოგადო და საქვეყნო საქმისათვის.

— აი რა სთქვა გარკურმა ჯერ ისევ ლიბერალების გამარჯვებამდე იმ განზრახვის შესახებ, რა განზრახვაც აქვს გლადსტონის დასს ირლანდიის თვით-მმართველობის გამო: „ჩვენ საზეში არა გვაქვსო, სთქვა ორატორმა: რომ ირლანდიას მივსცეთ ნება გადასწყვიტოს ისეთი საგნები, რომელიც შეეხება გარეშე პოლიტიკას, ვაჭრობასა და მრეწველობას. ირლანდიას ნება არ ექნება, თავისუფალ ვაჭრობის მაგიერ, მაგალითად, დააწესოს ვაჭრობა მფარველობისა. არც იმის ნება ექნება, რომ სამხედრო საქმეები დამოუკიდებლად განაგოს, ან ფულის ტრიალის წესი და რიგი დაამყაროს. ლიბერალთა დასი ნებას მიანიჭებს ირლანდიას, რომ განაგოს ის საქმენი, რომელიც მარტო მის საკუთარს ინტერესებს შეეხება. ამასაც იმ პირობით მიანიჭებს, რომ ინგლისის პარლამენტი ნამდვილი და ჭეშმარიტი უმაღლესი მთავრობა იყოს.

## დეპეშა

10 აგვისტო

**პეტერბურგი.** პეტერბურგში 8 და 9 აგვისტოს ავად გახდა 87, გარდაიცვალა 32, მორჩა 53; მთელს გუბერნიაში 7 აგვისტოს კვლავ ავად გახდა 13; ასტრახანში ხოლერის სენი ისე აღარ მძვინვარებს; ყაზანსა და კურსკში სენი თანდათან მცირდება.

გუშინ რკინის გზის კონგრესის წევრნი კრონშტატში იყვნენ; სადამოზედ საბჭო სტუმრებს გაუმასპინძლდა.

**ბელგრადი.** სამინისტრომ წინადადება მისცა სარეგენტოს, საგანგებო სკუპშჩინა მოიწვიოთ ავსტრიასთან სავაჭრო ხელ-შეკრულობის დასამტკიცებლად და რეგენტის ამოსარჩევადაო. სარეგენტო არ დასთანხმდა. სამინისტრო სამსახურიდგან გადადგა. რადიკალთა სკუპშჩინა უნდა დათხოვნილ იქმნეს და შემოდგომაზედ ახალი არჩევანები დაიწყება. პაშიჩის კაბინეტის დამხობის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ სარგენტო ჰშიშობდა, უმწვერვალესი რადიკალი არ ამოერჩიათ რეგენტად. კაბინეტი შემდგარია. სალიბერალო დასის მეთაურნი: ავვაკუმოვიჩი დაინიშნა მინისტრ-პრეზიდენტად და გარეშე საქმეთა მინისტრად, გენერალი ბოგიჩევიჩი—სამხედრო მინისტრად, სახელმწიფო რკინის გზათა დირექტორი სტოიანოვიჩი—ფინანსთა მინისტრად, დიდის სასწავლებლის რექტორი ალკოვიჩი—საზოგადო საქმეთა მინისტრად, დიდის სასწავლებლის პროფესორი იოვან ბოშკოვიჩი—საერო განათლებისა და საეკკლესიო საქმეთა მინისტრად, ნაფიცი ვექილი რიბარცი—შინაგან საქმეთა მინისტრად, ველიკოვიჩი—იუსტიციისა და სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის დირექტორი გვოზდიჩი—ვაჭრობის მინისტრად. დღეს რეგენტებმა შეიწყნარეს რადიკალთა კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომა.

ცეორე საქველ-მოქმედო ლატარიის ტირაჟი.

ორას ორმოც-და-ათ მანათიანი

| № ბილ. | №№ სერიის | № ბილ. | №№ სერიის | №№ ბილ. | №№ სერიის |
|---|---|---|---|---|---|
| 55 | 7166 | 57 | 3576 | 59 | 10342 |
| 55 | 7967 | 57 | 4238 | 59 | 10600 |
| 55 | 9650 | 57 | 4390 | 59 | 11690 |
| 55 | 10119 | 57 | 4945 | 60 | 1405 |
| 55 | 10721 | 57 | 5119 | 60 | 2165 |
| 55 | 10814 | 57 | 7010 | 60 | 2347 |
| 55 | 10977 | 57 | 7444 | 60 | 2704 |
| 56 | 1352 | 57 | 8556 | 60 | 3761 |
| 56 | 1669 | 57 | 9926 | 60 | 7517 |
| 56 | 2002 | 57 | 10698 | 60 | 8350 |
| 56 | 3185 | 57 | 11890 | 60 | 8853 |
| 56 | 4205 | 58 | 178 | 60 | 10019 |
| 56 | 6057 | 58 | 887 | 60 | 11914 |
| 56 | 6557 | 58 | 1403 | 61 | 27 |
| 56 | 8038 | 58 | 4704 | 61 | 1189 |
| 56 | 8148 | 58 | 6588 | 61 | 2032 |
| 56 | 8902 | 58 | 6592 | 61 | 3524 |
| 56 | 9612 | 58 | 6895 | 61 | 6382 |
| 56 | 10860 | 58 | 7558 | 61 | 7257 |
| 56 | 11377 | 58 | 9155 | 61 | 8223 |
| 57 | 256 | 59 | 5777 | 61 | 8710 |
| 57 | 345 | 59 | 5868 | 61 | 8911 |
| 57 | 707 | 59 | 5913 | 61 | 9832 |
| 57 | 713 | 59 | 6311 | 61 | 11728 |
| 57 | 1024 | 59 | 7287 | 62 | 4918 |
| 57 | 2799 | 59 | 8432 | 62 | 6403 |
| 57 | 2969 | 59 | 10243 | 62 | 6633 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 62 | 7015 | 72 | 9808 | 83 | 5148 |
| 62 | 8019 | 72 | 10246 | 83 | 8795 |
| 62 | 9472 | 72 | 10392 | 84 | 164 |
| 62 | 9968 | 72 | 11611 | 84 | 4081 |
| 62 | 10879 | 73 | 378 | 84 | 6095 |
| 62 | 11655 | 73 | 1057 | 85 | 280 |
| 63 | 48 | 73 | 3431 | 85 | 484 |
| 63 | 920 | 73 | 3466 | 85 | 1255 |
| 63 | 2678 | 73 | 3495 | 85 | 1437 |
| 63 | 4186 | 73 | 6525 | 85 | 6210 |
| 63 | 6089 | 73 | 10090 | 85 | 10916 |
| 63 | 7224 | 74 | 1428 | 85 | 11147 |
| 63 | 7247 | 74 | 3904 | 85 | 11912 |
| 63 | 7944 | 74 | 4502 | 86 | 300 |
| 63 | 9967 | 74 | 4923 | 86 | 1045 |
| 64 | 1919 | 74 | 7490 | 86 | 1174 |
| 64 | 4996 | 74 | 8620 | 86 | 1472 |
| 64 | 5249 | 74 | 10211 | 86 | 2231 |
| 64 | 7779 | 74 | 10278 | 86 | 3006 |
| 64 | 9065 | 75 | 2860 | 86 | 3950 |
| 65 | 2103 | 75 | 3138 | 86 | 5092 |
| 65 | 2558 | 75 | 3237 | 86 | 5115 |
| 65 | 2693 | 75 | 4019 | 86 | 5752 |
| 65 | 3184 | 75 | 4034 | 86 | 5792 |
| 65 | 4644 | 75 | 4387 | 86 | 6473 |
| 65 | 5591 | 75 | 5959 | 86 | 6875 |
| 65 | 5973 | 75 | 6791 | 86 | 8348 |
| 65 | 7742 | 75 | 7957 | 86 | 9549 |
| 65 | 7764 | 75 | 9408 | 86 | 10917 |
| 65 | 9837 | 75 | 9820 | 87 | 534 |
| 65 | 10891 | 75 | 10917 | 87 | 939 |
| 66 | 400 | 75 | 11220 | 87 | 1572 |
| 66 | 2474 | 75 | 11392 | 87 | 1986 |
| 66 | 3071 | 76 | 263 | 87 | 6146 |
| 66 | 6811 | 76 | 1277 | 87 | 6188 |
| 66 | 7183 | 76 | 2012 | 87 | 6676 |
| 66 | 9293 | 76 | 2540 | 87 | 7109 |
| 67 | 4011 | 76 | 2553 | 87 | 7669 |
| 67 | 4582 | 76 | 3082 | 87 | 7878 |
| 67 | 4987 | 76 | 3191 | 87 | 7912 |
| 67 | 5313 | 76 | 4747 | 87 | 7950 |
| 67 | 5434 | 76 | 5270 | 87 | 9672 |
| 67 | 6366 | 76 | 5616 | 87 | 10345 |
| 67 | 7384 | 76 | 6801 | 88 | 1544 |
| 67 | 7814 | 76 | 6810 | 88 | 2854 |
| 67 | 10194 | 76 | 10285 | 88 | 3539 |
| 67 | 10248 | 76 | 10310 | 88 | 4246 |
| 68 | 635 | 77 | 1325 | 88 | 5213 |
| 68 | 681 | 77 | 3493 | 88 | 5461 |
| 68 | 1970 | 77 | 4136 | 88 | 7545 |
| 68 | 2332 | 77 | 5392 | 88 | 8342 |
| 68 | 2895 | 77 | 6232 | 89 | 149 |
| 68 | 3694 | 77 | 8827 | 89 | 1583 |
| 68 | 3909 | 77 | 9897 | 89 | 2680 |
| 68 | 4404 | 77 | 10254 | 89 | 3459 |
| 68 | 7578 | 77 | 10344 | 89 | 3728 |
| 68 | 7871 | 78 | 1233 | 89 | 4243 |
| 68 | 10365 | 78 | 1535 | 89 | 4738 |
| 69 | 2885 | 78 | 2085 | 89 | 5377 |
| 69 | 3666 | 78 | 8373 | 89 | 6784 |
| 69 | 5767 | 78 | 8744 | 89 | 7690 |
| 69 | 6412 | 79 | 1599 | 89 | 7890 |
| 69 | 7727 | 79 | 1643 | 89 | 8891 |
| 69 | 9152 | 79 | 2684 | 89 | 9390 |
| 69 | 11456 | 79 | 4672 | 89 | 9494 |
| 70 | 3029 | 79 | 4690 | 89 | 9851 |
| 70 | 3422 | 79 | 4870 | 89 | 10108 |
| 70 | 3449 | 79 | 7333 | 89 | 11362 |
| 70 | 5207 | 79 | 10814 | 89 | 11459 |
| 70 | 6758 | 79 | 11514 | 89 | 11701 |
| 70 | 6771 | 80 | 381 | 90 | 3868 |
| 70 | 7898 | 80 | 684 | 90 | 6082 |
| 70 | 8736 | 80 | 3765 | 90 | 6989 |
| 70 | 11549 | 80 | 5574 | 90 | 10699 |
| 70 | 11751 | 80 | 9440 | 90 | 11048 |
| 71 | 1667 | 81 | 844 | 90 | 11574 |
| 71 | 2209 | 81 | 1217 | 90 | 11612 |
| 71 | 4186 | 81 | 1700 | 91 | 1743 |
| 71 | 4362 | 81 | 3025 | 91 | 3589 |
| 71 | 4596 | 81 | 3689 | 91 | 3733 |
| 71 | 5217 | 81 | 3772 | 91 | 4003 |
| 71 | 5550 | 81 | 6692 | 91 | 4750 |
| 71 | 6780 | 81 | 9388 | 91 | 6836 |
| 71 | 7762 | 81 | 11978 | 91 | 9666 |
| 71 | 9413 | 82 | 1409 | 91 | 11182 |
| 71 | 9572 | 82 | 2250 | 92 | 197 |
| 71 | 11515 | 82 | 2864 | 92 | 677 |
| 72 | 3252 | 82 | 3440 | 92 | 914 |
| 72 | 4036 | 82 | 4019 | 92 | 2752 |
| 72 | 7438 | 82 | 5665 | 92 | 3957 |
| 72 | 7877 | 82 | 7900 | 92 | 4746 |
| 72 | 9152 | 82 | 9245 | 92 | 5181 |
| 72 | 9639 | 82 | 11667 | 92 | 7351 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 92 | 8922 | 96 | 379 | 98 | 4103 |
| 92 | 9652 | 96 | 536 | 98 | 4152 |
| 93 | 2604 | 96 | 788 | 98 | 4709 |
| 93 | 4257 | 96 | 1008 | 98 | 5445 |
| 93 | 8477 | 96 | 1223 | 98 | 6585 |
| 93 | 8872 | 96 | 1910 | 98 | 7013 |
| 93 | 9288 | 96 | 2376 | 98 | 7347 |
| 93 | 10817 | 96 | 3039 | 98 | 7492 |
| 94 | 411 | 96 | 3267 | 98 | 8364 |
| 94 | 580 | 96 | 5157 | 98 | 8381 |
| 94 | 1916 | 96 | 6421 | 98 | 8713 |
| 94 | 2011 | 96 | 7050 | 99 | 1791 |
| 94 | 2516 | 96 | 7160 | 99 | 2247 |
| 94 | 2627 | 96 | 8399 | 99 | 3678 |
| 94 | 3082 | 96 | 9394 | 99 | 4360 |
| 94 | 5410 | 96 | 9558 | 99 | 4838 |
| 94 | 7110 | 96 | 10890 | 99 | 7256 |
| 94 | 7500 | 96 | 11115 | 99 | 8774 |
| 94 | 9031 | 96 | 11807 | 99 | 9350 |
| 94 | 9104 | 97 | 3932 | 99 | 10051 |
| 94 | 9299 | 97 | 4323 | 100 | 936 |
| 94 | 9926 | 97 | 4495 | 100 | 945 |
| 94 | 10609 | 97 | 5363 | 100 | 1759 |
| 94 | 11700 | 97 | 7145 | 100 | 4563 |
| 95 | 602 | 97 | 7394 | 100 | 4996 |
| 95 | 2131 | 97 | 7647 | 100 | 6499 |
| 95 | 4262 | 97 | 10019 | 100 | 6692 |
| 95 | 4862 | 97 | 10434 | 100 | 7057 |
| 95 | 6891 | 98 | 692 | 100 | 8045 |
| 95 | 6910 | 98 | 856 | 100 | 8923 |
| 95 | 8294 | 98 | 913 | 100 | 9020 |
| 95 | 9082 | 98 | 1020 | 100 | 10189 |
| 95 | 9300 | 98 | 1122 | 100 | 10909 |
| 95 | 9811 | 98 | 2563 | 100 | 10933 |
| 95 | 11251 | 98 | 2596 | 100 | 11087 |

(შემდეგი იქნება)

პეტერბურგის ბირჟა, აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,80 | 7,85 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 156 | 157 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235¼ |
| —მეორისა . . . . | 223 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 192¾ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99½ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | 99¾ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98½ | — ,, | — ,, |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

ფოთიდგ გადის:ნ

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. | | |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ | „ | |
| „ „ 2 | | | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ | „ | |
| „ „ „ 2 | „ | „ | „ | |
| „ „ „ 3 | „ | „ | „ | |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | | | კ. |
| მე-2 „ „ | „ | „ | | . |
| მე-3 „ „ | „ | „ | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | | 8 | „ |
| „ „ 2 | „ | | | „ |
| სუკი — | — | — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — | | — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | | | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | | | 6 | „ |

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.
საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—90)

გასაფრთხილებლად.

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონზო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ქ. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

სპარფიუმერო ფაბრიკა

,,ვიქტორია რეგინა‘‘

**ე. ბოდლოსი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—9)

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

## საქართველოს

გეოგრაფია

1 წიგნი

## სამცხე

ვახუშტის საზოგადო ,,შესავალი‘‘-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

Maison Hermann-Lachapelle, J. BOULET & C-ie, successeurs
**31-33.** Rue Boinod à PARIS.

ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წ.

**ოთხი ოქროს მედალი**, პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ მიღებული **1889** წ.

განუწყვეტლად მომქმედი მანქანა საკეთებლად



ყოველის გაზის სასმელისა: ლიმონადისა სოდას წყლისა და შუშხუნა ღვინოებისა. ერთად-ერთი მანქანა, შიგნიდგან დმოვერცხლილი. იფონი ოყველის ფასის ფერის

დაწვრილებითი კატალოგი უსასყიდლოდ იგზავნება.

(5—5)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდ-დე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ‘‘.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, №.